კვირა, 1918 წ. გიორგობისთვის 10 № 214
წელიწადი მეოთხე

კვირა, 1918 წ. გიორგობისთვის 10 № 214
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა სახელმწიფოებმა ზავზე თანხმობა განაცხადეს.

შელდასა და უაზის შუა გერმანელები გადაჯგუფებას განაგრძობენ.

ვალონსიენის მონის გზის სამხრეთით სამბრეზე მეუზის მაღლობებზე, სედონის დასავლეთით ბრძოლა გამწვავდა.

მეუზის აღმოსავლეთით დროგამოშვებით ბრძოლაა ბრონქნვილის ტყეებში.

გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მოკავშირეთა გაფთრებულ იერიშებს.

გერმანიის დელეგაცია გადავიდა ბრძოლის ხაზზე გედრესთან საზავო მოსალაპარაკებლად.

გერმანიის სამხედრო მინისტრის განკარგულებით 1870-71 წლის ჯ. კ—თა ნაწილი რომელიც არ იბრძვის სამშობლოში დაბრუნდება.

რუსეთის ელჩი იოფე დიპლომატიურ წარმომადგენელთა შტაბით ბერლინიდან რუსეთს გაემგზავრა.

პროფესიონალ კავშირთა მიერ ღვინობისთვის რევოლიუციის წლისთვის დღესასწაული დიდი ზეიმით გადიხადეს მოსკოვში.

საქართველოს ცროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მე-II რიონის კომიტეტი აცხადებს, რომ 8 გიორგობისთვეს გარდაიცვალა პარტიის გულმოდგინე წევრი

მიხეილ კონსტანტინეს ძე

ყორღანაშვილი

პანაშვიდი იქმნება დღეს. გიორგობისთვის 10-ს ანჩისხატის ტაძარში, შუადღის 13 საათზე)1 61—1)

კულტურის და შრომის კავშირის გამგეობა მწუხარებით იუწყება კავშირის წევრის

მიხეილ კონსტანტინეს ძის

ყორღანაშვილის

უდროო დაკარგვას, პანაშვიდი დღეს, 10 გიორგობისთვეს შუადღის 12 საათზე ანჩხატის ტაძარში (1—62—1)

თავზარდაცემული თამარ იასონის ასული და მარიამ ილიას ასული ქუმსიშვილისანი, ნინო ილიას ასული და გიორგი თევდორეს ძე ყორღანიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის დისწულის და დეიდაშვილის

მიხეილ (მიშიკო) კონსტანტინეს ძის

ყორღანაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას ამა გიორგობისთვის 6-ს, მცირე ავადმყოფობის შემდეგ გორის მაზრის სოფ. ლამის-ყანაში. პანაშვიდი დღეს, გიორგობისთვის 10-ს, იქნება გადახდილი, შუადღის 12 საათზე ანჩისხატის ტაძარში. დაკრძალვა სოფ. ლამის-ყანაში სამშაბათს, გიორგობისთვის 12-ს, (1—60—1)

უბედური დედა ელენე იასონის ასული ყორღანიშვილისა გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავისის ერთადერთის იმედის და სიხარულის, დედის-ერთა

მიშიკოს

უდროოდ გარდაცვალებას მცირე ავადმყოფობის შემდეგ გორის მაზრის სოფ. ლამის-ყანაში ამა გიორგობისთვის 6-ს. პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, კვირას, გიორგობისთვის 10-ს, ანჩისხატის ტაძარში, შუადღის 12 საათზე, დაკრძალვა სამშაბათს, გიორგობისთვის 12-ს, ს. ლამის-ყანაში. (1—1863—1)

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

კვირას, 10 გიორგობისთვეს, პირველი დილის წარმოდგენა

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმედებად, 7 სურათი, ჩაიკოვსკისა.

დასაწყისი დღის 12 საათზე.

მონაწილეობენ: ენდენოვა, ი. მაროზოვა, მალჩანოვი, ვრონსკი, საბინინი. დირიჟორი ტესლერი.

საღამოთი შვამბერგის, კონშინის, მოლჩანოვის და ისეცკაის მონაწილეობით

ჟიდოვკა

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გალევისა.

ფასები საგრძნობლადაა დაკლებული. დასაწყისი საღ. 8 ს.

ორშაბათს, 11 გიორგობისთვეს ო. ა. შულგინის, ა. მ. კონშინის, ე. ა. ვრონსკის და ა. ნ. ისეცკას მონაწილეობით „კ ა რ მ ე ნ“. კარმენის როლს შულგინა შეასრულებს.

სამშაბათს, 12 გიორგობისთვეს ტ. ი. საბანეევას, ვ. მ. ბერეზოვის და ვ. ა. პოლიაევას მონაწილეობით „ტ რ ა ვ ი ა ტ ა“.

ოთხშაბათს, 13 გიორგობისთვეს, ი. ალეშკოს და ტ. ორდას მონაწილეობით „ტ ო ს კ ა“.

(1—1)

ქართული ლატარია

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას.
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:

ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას.
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას.

კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო.
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!..

მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აყვავებას,
ბეჩავ შენთა ძეთა
სწავლა განათლებას,
ევროპიულ ცოდნით
აღზრდა-ამაღლებას.

ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალ ისტორიას! (3—1)

მეორე ქართული კლუბი

(მიხეილის პრ. № 129).

შაბათს, 9 გიორგობისთვეს და კვირას, 10 გიორგობისთვეს საზამთრო შენობაში გაიმართება

ლოტო

საქველმოქმედო მიზნით. დასაწყ. საღ. 7 ნახ. საათზე.

განცხადება.

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ თბილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ საწყობში 17 ნოემბერს საჯარო ვაჭრობით გაისყიდება 120 ფუთი უვარგისი მჟე, 300 ფუთი უვარგისი ქვა მარილი, 2000 ფუთი უვარგისი ხილის ჩირი და 1000 ცალა ყუთიანი ქესტის ბიტონები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზედ. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. (3—57—3)

ნაფიცი ვექილი

დ. გ. კვირკელია

გადმოვიდა თფილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—7

სახელმწიფოს თავდაცვა

გუშინდელი დღე პარლამენტში სამახსოვრო დღე იყო. უკანასკნელ დღეებში სომხები ძალიან გათამამდენ: დაიწყეს პროვოკაციის ცეცხლის დანთება, მოიმიზეზეს ზამთრის მოახლოვება და ლტოლვილებისთვის მოსალოდნელი სიცივის სიმწვავე, თითქო პროვოკაციის ცეცხლს შეუძლია რამდენიმეთ მაინც გაათბოს. მართლა რომ შეცდებული და შესაბრალისი სომეხი ლტოლვილები.

მაგრამ საჭირო არ იყო პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, რომ ქართველებს გამოეკვლიათ, თუ რით იყო გამოწვეული დაშნაკელების წკმუტუნი. საერთაშორისო ატმოსფერაში იყნოსეს ზამთარში გაზაფხულის დაწყება და დაგუბებული ნაღველი უნდათ ერთიან დაანთხიონ, რომ საქართველოს წინააღმდეგ შექმნან ისეთი განწყობილება, როგორც მათ მოახერხეს შეექმნათ ოსმალების და კავკასიის მაჰმადიანების წინააღმდეგ.

წარსულში მათ არ დაუკლიათ უწმიდესი კათოლიკოსების ცრემლები, აუარებელი ფულები აგიტაციისთვის და უფრო მეტი სომხის გლეხების სისხლი, რომ ამით მიეღწიათ მიზნისთვის და მთელი ოსმალეთის სომხეთის გაწყვეტით მათ დროებით თითქო მიაღწიეს ამ ეფემერულ მიზანს. მაგრამ ასე გაკეთებული პოლიტიკური კარიერა არასდროს არ შეიძლება იყოს ურყევი და გამძლე—ეს ყველაზე უფრო თვითონ დაშნაკელებმა იციან, რადგან არ ყოფილა დღე, რომ ისინი სადმე გამარჯვებული გამოსულიყვენ და თავიანთი ერი მიიყვანეს კიდეც სრულ გადაშენებამდე.

სომხის გაზეთებმა მოუხშირეს ახალ მესაპოტამიაზე წერას, ქართველ მთავრობას აბრალებენ სომხების ჟლეტას და მოითხოვენ სომხებისგან, რომელნიც საქართველოში მოსახლეობენ ყოველივე ზომა იხმარონ ქართულ მთავრობაზე ზედგავლენისთვის... მოუწოდებენ აჯანყებისთვის...

ქართველებისგან სომხების ჟლეტას არავინ დაიჯერებს, არაფერ მესოპატამიას ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ გუშინ საქართველოს პარლამენტში საქართველომ მართლა გაუმართა სომხებს მორალური მესოპატამია, რომლის, შეგნება და გაგება პატიოსან სომეხს ცუდ ხასიათზე დააყენებდა. რიგ რიგათ გამოდიოდენ ქართველი დეპუტატები და ამხელდენ დაშნაკელების ავანტიურას, უპატიოსნობას და სიმხდალეს... ყოველი სიტყვა მარჯვეთ იყო დარტყმული, რადგან გამაგრებული იყო ფაქტების პლასტებით დაშნაკელების მოღალატეობიდან და უპადურობიდან, ამ დახასიათების დროს არ დაკლებია არც ფრანგული პრესის მოწმობა დაშნაკელების ზნეობრივ ღირებულების და გამობრძმედილი ინტერნაციონალისტებიც თითქო უკანასკნელათ ეთხოვებოდნენ შერიგების იმედს სომხებთან.

და ამათ საპასუხოთ გამოსული სომხურ ქარვასლების ნოქრები დაშნაკელები წაწყმედილი რუსულით და დამბული ენით ტყუილათ ფიქრობენ შთაბეჭდილების განელებას, მათ ბევრ სათნოებას კიდევ ერთი დაემატა დაშნაკელების დეპუტატები ქართულ პარლამენტში უიმედოთ უნიჭონი გამოდგენ და საეჭვოა რომ ოდესმე თავიანთი პრესტიჟი აღადგინონ. მართლა რომ სავალალო ყოფილა სომხის ბედი, თუ ნახევარ მილიონ ხალხში ერთი დეპუტატი არ გამოჩნდა, რომ დეპუტატს ემსგავსებოდეს; და გაცივებული ლტოლვილებზე უფრო მეტ სიბრალულს იწვევდა ეს ხალხი, თუ მათი პათოსი ამაზე წინ არ მიდის. აშკარაა, რომ დაშნაკელების მიერ მოწყობილი აჯანყებაც ასევე საცოდავი იქნება და სამუდამოთ გაუტეხს მათ სახელს, თუ კიდევ აქვთ მათ რამე სახელი.

მაგრამ პარლამენტში ჩვენ შევნიშნეთ ერთი გარემოება, რომელიც შეიძლება ცუდათ იქნეს გაგებული, და შეიძლება მართლა ცუდ შედეგამდი მიიყვანოს ქართველი ერი. მარჯვნივ სექტორიდან ისმოდა აღელვებული სიტყვები სომხის პოლიტიკაზე და რაც უფრო საინტერესოა, დეპუტატები მოითხოვდენ მთავრობისაგან რომ სასტიკი ზომები იქნეს მიღებული აჯანყების მომწყობთა წინააღმდეგ, რომ ერთხელაც არი სომხები ჭკუაზე მოვიდნენ და გაიგონ, რომ თუ სხვაგან როგორც ბაქოში და ოსმალეთში, დაშნაკელებისა მძიმე მახვილი არ გაბედნიერებულა გამარჯვებით, საქართველოში ყოველ შემთხვევაში კიდევ ნაკლები შანსები აქვს.

ს.-დემოკრატების ორატორები და მთავრობის წარმომადგენლებიც აღნიშნავდენ სომხების კადნიერებას, მაგრამ როგორც ყოველთვის დემოკრატიულ ტრაფარეტით ალამაზებდენ დასკვნებს.

წერეთლის სიტყვით, სომხების წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი ზომების მიღება დაშნაკელების გამარჯვება იქნებოდა: ისინი მიზანს მიაღწევდენ; მისი აზრით მხოლოდ სიტყვით შეიძლება დაშნაკელებთან ბრძოლა, რათა საბუთი არ მიეცეთ ინგლისელების წინაშე დაბეზღების და თავის გამართლებისა.

რას ნიშნავს ეს?

ბრიტანიის იმპერიას სახელმწიფო კაცები განაგებენ, რომელთაც კარგად იციან როგორ უნდა მოეპყრონ იმ ხალხს რომელიც აჯანყებას აწყობს. არც ერთი დაშნაკელი ნოქარი არ დაფასდება ირლანდიელ კაზმენტზე მაღლა, ეს ალბათ ინგლისმა უფრო იცის.

ინგლისის პარლამენტში ეხლაც არის დარჩენილი ტრადიცია: პარლამენტის სესიის გახსნის წინ პრეზიდიუმი ათვალიერებს პარლამენტის დარბაზის ქვეშ ადგილებს; ეს ცერემონიალი ერთხელ იქ ჩაწყობილ დინამიტების ამბავის გახსენებაა.

და სად არის გარანტია, რომ დაშნაკელებს განმზადებულნი არ აქვთ ნაღმები სწორედ ქართულ პარლამენტის ქვეშ ჩასაწყობად: ჩვენ ვიცით როგორი გეგმები აქვთ სომხებს ხიდების ასაფეთქებლათ, როგორ სცდილობენ ისინი საქართველოს დამხობას.

დემოკრატიული გერმანიის ახალი მთავრობის პირველი აქტი ის იყო, რომ ბერლინიდან დაითხოვეს ბოლშევიკების შიკრიკები და ელჩი იოფფე შე[illegible]ბელ აგიტაციის და პროკლამაციების აღმოჩენის შემდეგ; რატომ არ იზამს ამას ქართული მთავრობა ბ-ნ არშაკ ჯამალიანის წინააღმდეგ, რომლის პროვოკატორულ მოღვაწეობაზე დღეს თვითონ „ერთობა“ც ამხელს სანამდი უნდა ვითმინოთ ჩვენ ჯამალიანის და მისგვარ აგენტების თავხედობა?..

ჩვენ გვგონია, რომ პროვოკაციის ბადეში, რომელსაც ბლანდავს „დაშნაკციუტუნი“ უკვე ჩავარდენ ს.-დემოკრატები.

დაშნაკელების თამაში ის არი, შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ დემოკრატიზმით დაბრუებულმა ქართულმა მთავრობამ მათ საწინააღმდეგო არ იღონოს საერთაშორისო ტერორის შიშით, რომ დემოკრატიული პრინციპი არ შეილახოს.

ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძემ იცოდა დაშნაკელების ასეთი ოინები, როცა სომხები მტირალე ბავშვს შეადარა, რომელსაც, როცა ჰკითხეს რათ სტირიო, სთქვა: გამიდის და მიტომო. სომხებს აქამდი გაუდიოდათ ტირილი, მაგრამ დროა პირველმა ბავშვმა გაიგოს, რომ მოფერებისა და დაყვავების დრო წავიდა და მასთან ერთად წავიდა ინტერნაციონალისტური მგრძნობიარობის დროც. ეს ნათლად დაამტკიცა პარლამენტის უკანასკნელმა სხდომამ, და ვის იმედია დაამტკიცებენ საქართველოს მთავრობის ენერგიული ღონისძიებანიც.

პ რ ე ს ს ა

რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრი ხდება განსაკუთრებით სომხების იერიშები ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. „ჰორიზონისა“ და „აშხატავორის“ უკანასკნელი წერილების გამო „ერთობა“ სწერს:

> „ოსმალეთში რომ პოლიტიკას აწარმოებდა დაშნაკცუტიუნი, იმ გვარსავე პოლიტიკას აწარმოებს ჩვენში, საქართველოში: სომხის ხალხის გამოყოფვა საქართველოს სხვა მოქალაქეთაგან, ამ ხალხის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენება, სომხის ხალხისთვის ყოველდღე იმის ჩაძახება, რომ საქართველოში გარს მხოლოდ მტრები ახვევია და სხ.
>
> რა მოჰყვება შედეგათ ამ გვარ მოღვაწეობას? სომხის ხალხის სრული განმარტოვება, მისი სხვების წინააღმდეგ დარაზმვა; და განა გასაკვირველი იქნება ვისმესთვის, რომ ამ გვარ მუშაობას შეტაკება, ერთა შორის ჟლეტა მოჰყვეს? მაგრამ დაშნაკელები ამ შემთხვევაში, აბა, რას დაჰკარგავენ! თავი მოგვეჭრება ჩვენ, თორემ დაშნაკელებს როდის დაუზოგავს სომხის ხალხის ან სხვა ერის სისხლი?

არ დაუზოგავთ ის მათ არც ოსმალეთში, არც კავკასიაში!“

შემდეგ „ერთობა“ ეხება სომხურ გაზეთების ბრალდებას თითქო ჩვენს მთავრობას მეორე „მესოპოტამია“ მოეწყოს სომხის ერისათვის და სომხის პუბლიცისტებს ასწავლის თუ როგორი იქნებოდა ნამდვილი ქართული „მესოპოტამია„:

„სომეხი ვაჭარი, ბანკირი, ინტელიგენტი და საზოგადოთ სომეხი განურჩევლათ რომ დაეპატიმრებია ჩვენს მთავრობას: ზამთარში მათთვის მოეწყო კონცენტრაციული ბანაკი, ვსთქვათ, ნაქერალას მთაზე, საიდანაც სამუშაოდ გამორეკავდნენ ყოველ დღე ტყიბულის მაღაროებში,—ზაფხულში რომ ეს ხალხი ფოთის ჭაობების ამოშრობის საქმეზე ემუშავებინა, ეს იქნებოდა ნამდვილი მესოპოტამია. ასეთი რამ არაფერი არ არის ჩვენში, არც შეიძლება შეიქმნეს, ვიდრე სახელმწიფოს სათავეში ეყოლება ხალხის ნდობით აღჭურვილი დემოკრატიული მთავრობა. და თუ დაშნაკელები მაინც საქართველოს „მესოპოტამიაზე“ გაიძახიან—ეს ჩვენ დავინახეთ რა მიზანიც აქვთ მათ“!

საქართველოს პარლამენტში

წერილები პარლამენტიდან

X

ისევ სომხები...

საქართველოს პარლამენტში ისევ დაისვა სომხების საკითხი და ამ შემთხვევაში დაისვა მთელის თავისის სივრცე სიგანით.

საჭირო გახდა ძეგვის ხიდის აფეთქება, შეთქმულებათა მთელის რიგის გამომჟღავნება, შეიარაღებული თავდასხმა და სულ ბოლოს მათის პრესის ალვირ-ახსნილი პროვოკაცია ჩვენი დემოკრატიის მესვეურთა შესახებ, რომ სომხების საკითხი დასმულიყო ჯეროვანის დაფასებით.

საქართველოს არა სოციალისტური პარტია მუდამ ამტკიცებდა, რომ სომხების ანტი ქართული მოქმედება, შედეგია იმ ეროვნული იდეისა, რომელიც ესე ძლიერად ამოქმედებს სომხის ერს.

და სოციალისტური პრესსა მუდამ იმის მტკიცებაში იყო, რომ ანტიქართული მოქმედება მხოლოდ შედეგია სომხების უპასუხისმგებლო პოლიტიკოსთა ავანტიურისა.

ესე იყო იმ თავითვე და ძნელია, რომ ესეთი გაგება ამ საკითხისა ამ ქამადაც ადვილად შეიცვალოს.

საქართველოსა და სომხის დემოკრატიის შორის მუდამ იდგა პარტია „დაშნაკცუტუნ“ და ხელს უშლიდა ამ ერთა დაახლოვებას.

ყველა უთანხმოებანი ამ ერთა შორის იყო შედეგი ამ პარტიის ავანტიურისა:

ესე მსჯელობდა მუდამ სოციალ-დემოკრატია.

ესე მსჯელობდა მიუხედავად იმისა, რომ მთელი სომხის ერი მიჰყვებოდა ამ „დაშნაკციუტუნს“ და მის გარეშე ის მცირე-რიცხოვანი ძალა ლა რჩებოდა, რომელიც მაინც ამ პარტიის ამყოლი იყო მუდამ, ჩვენს საწინააღმდეგო მოქმედებაში.

და როდესაც სანაინ-ქობერის სიმაღლეებზე სომხთა და ქართველთა ხმლები ერთმანეთს გადაეჭდენ, ქართველმა დემოკრატიამ ერთხმად შეგვფიცა საქართველოს დაცვა.

პარტია „დაშნაკციუტუნისაგან“ და მოწოდებით მიმართეს სომხის „დემოკრატიას“.

სომხების პოლიტიკური ცხოვრების რუქაზედ ჩვენ დიდხანს ვეძებდით ეს „მშვიდობიანი დემოკრატია“ და სადაც კი არ მივიტანეთ ეჭვი რომ იგი უნდა ყოფილიყო, მოულოდნელად თავს ამოყოფდა:

სომხეთა პარტია „დაშნაკცუტუნ“.

როდესაც საქართველოს ეროვნულ საბჭოში სოციალ-დემოკრატები ითხოვდენ სომხის დემოკრატიის წარმომადგენლობას ეროვნული დემოკრატია აფრთხილებდა მათ, რომ იქ მოვიდოდა მხოლოდ

პარტია „დაშნაკცუტუნ“.

სომხის დემოკრატია მოვიდა ამ საბჭოში და როდესაც მან ხმა ამოიღო, გამოდგა, რომ ეს ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ პარტია „დაშნაკცუტუნ“.

საქალაქო არჩევნების წინ სოციალ-დემოკრატია გვიმტკიცებდა, რომ შესაძლოა სომხებს ადგილი დავუთმოთ მის გამგეობაში, რადგან იქ მოვა ამ ერის დემოკრატია.

მაგრამ როდესაც მათ კბილები კარგად გაუშინჯეს, გაიგეს რომ ეს ყოფილა ისევ და ისევ პარტია „დაშნაკცუტუნ“.

სომხეთა უკანასკნელი გამოსვლები სიტყვით „ორიზონში“ და საქმით „ძეგვის ხიდის ქვეშ უმაღლესი მწვერვალი იყო ამ ერის თავ გასულობისა.

როგორ შეხვდა მას სოციალ-დემოკრატია?

ნამდვილი პატრიოტული სიმტკიცით მან ხმა მაღლა განაცხადა, რომ ესეთი მოქმედება სასტიკ ზომებს ითხოვს მთავრობისაგან:

თავისუფლებისა დამოუკიდებლობის დასაცავად;

მაგრამ დამნაშავე ისევ პარტია „დაშნაქცუტუნი“ გამოდგა, რომელთან არაფერი აქვს საერთო სომხეთის დემოკრატიას.

იქნებ დღეს მაინც სთქვას ვინმენ მისამართი, თუ სად, როგორ ან რა საშუალებით შეიძლება ნახოს ის უჩინარი მზეთუნახავი, რომელსაც სახელათ ეწოდება: „სომხური დემოკრატია“.

და რომლის ვექილობით ყველგან და ყოველთვის მოქმედობს „პარტია დაშნაკცუტიუნ“.

ამ მისამართის გაგება იმ დრომდეა საჭირო, ვიდრე სხვა ხიდები და სახლები არ აფეთქებულან, თორემ შემდეგ ის სასახლე, სადაც იგია დამწყვდეული ძალიან ადვილად გამოჩნდება!

მაგრამ მე ვეჭვობ, რომ იქიდანაც თავი არ გამოყოს

მხოლოდ პარტიამ „დაშნაკცუტუნ“.

ლ. ჯაფარიძე.

8 გიორგობისთვის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნიკ. ჩხეიძე.

სომხების პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ.

სხვა საკითხთა შორის პარლამენტის დღის წესრიგში მოქცეულია სოციალ-დემოკრატების შეკითხვა სომხური პრესის აგიტაციის შესახებ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. სოც. დემ. ფრაქცია ითხოვს, რომ ეს შეკითხვა სასწრაფოდ იქნეს ცნობილი და პირველად განიხილონ. შეკითხვის სისწრაფის შესახებ იცავს დეპუტატი ლომთათიძე (ს. დ.)

ალ. ლომთათიძის განცხადება.

მოქალაქენო! დღის წესრიგში შეტანილია სოც. დემ. ფრაქციის შეკითხვა. ჩვენი ფრაქცია უაღრეს მნიშვნელობას აძლევს ამ შეკითხვას და წინადადებას იძლევა, რომ იგი პირველად იქნეს განხილული.

შეკითხვის ტექსტი.

ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო და მისი დემოკრატია საკუთარი ძალების ანაბარა დარჩა, ალვირ წახსნილ აგიტაციას და ყოვლათ ამაშფოთებელ მოქმედებას ჩვენი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ საზღვარი არ უჩანს. ამ აგიტაციის ქსელი ფართოდ არის გაშბული სოფლისა და ქალაქის ფართო მასაში. ქადაგებენ სიტყვით, ქადაგებენ საქმით, ქადაგებენ, წერით. არ დაკმაყოფილდენ ხიდის აფეთქებას არ სჯერდებიან ჩუმჩუმათ ხალხში ჩვენი დემოკრატიულ მთავრობის ჩამოსაგდებათ გაჩაღებულ აგიტაციას მიმართეს ყველაზე უფრო მკვეთრ და ნაცად იარაღს—ეროვნულ შუღლის გაღვივებას, მოძმე დემოკრატთა შორის სისხლის ღვრისა და ხოცვა-ჟლეტის ჩამოგდებას. ამ მხრივ ყოველ წრესა და რიგს გადაჭიდა თფილისის ზოგიერთი გაზეთი. ერთ იმათთაგანში ყოვლათ გულშემზარავ და ყველა პატიოსან და მიუდგომელ გაზეთისთვის დაუშვებელ სტატიას ვკითხულობთ, „იენვერი ჟლეტს სომხის ხალხს ოსმალეთში, ხან-ხოისკი ამავე დანაშაულს სჩადის ადერბეიჯანში, ნ. ჟორდანიას მთავრობა კი დემოკრატიულ საქართველოში. „ახალგაზრდა ოსმალები, მუსავატელები და „სოციალისტები“, პირშეთქმულნი, ანხორციელებენ სომხის ხალხის მშვიდობიანობის თუ ძალა დური საშუალებით ამ ჟლეტის სისხლიან პოლიტიკას.

„იღუპება მთელი ხალხი მთელი კაცობრიობის თვალწინ, იღუპებიან ასობით და ათასობით, იღუპება ლტოლვილთა გადარჩენილი ნაწილიც, ჟლეტენ სომხის ერის დანაშთენს, აგრეთვე საქართველოში, რაც ფრიად სამწუხარო სომხის დემოკრატიისთვის. ჯავახეთის გაქართველებისათვის საჭირო გამხდარა სომეხ-ლტოლვილთა გაჟლეტა ბაკურიანისა და წალკის მაღლობებზე და აი ჟლეტენ კიდეც მათ ენვერ-თალაათბისებური საშუალებით.“

„ეს ჟლეტა უნდა შეწყვეტილ იქნეს, ჩვენ არ შეგვიძლია ენვერის დანაშაულობა საქართველოს საზღვრებშიაც დაუშვათ.“

„სომხის მთავრობა, საქართველოს სომხის მთელი მოსახლეობა, თფილისის ყველა სომხური ორგანიზაციები და ყველა მოქალაქე სომეხი არავითარ მსხვერპლს არ უნდა დაერიდონ და აიძულონ საქართველოს მთავრობა დაუყონებლივ შესწყვიტოს სომხის ხალხის მშვიდობიანური ჟლეტა.“ ასეთი არის სტატია თითქმის სავსებით მოყვანილი. და აი ჩვენ ვეკითხებით მთავრობას:

იცის თუ არა მან ყველაფერი ეს?

იცის თუ არა მან, რომ ჰაერში უკვე სდგას საშინელი სუნი. ძმათა სისხლისა, ხედავს თუ არა, რომ კავკასიის დემოკრატიისა საერთოდ და კერძოთ საქართველოსა და სომხეთის დემოკრატიის დაუძინებელ მტერთ ცხრაას ხუთი წლის საშინელი სისხლის მორევში უნდათ შეაცურონ დღემდე ძმურათ მცხოვრები ქართველი და სომეხი ხალხი, გამოიწვიონ წარმოუდგენელი ანარქია. დემოკრატიულ საქართველოში, დასცენ მისი დემოკრატიული მთავრობა და ამით ბოლო მოუღონ საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დემოკრატიულ წყობილებას და თავისუფლებას. და თუ იცის ყველაფერი, რა ზომების მიღებას აპირებს ამ სისხლის წვიმების თავიდან ასაცილებლათ და ბნელეთის მოციქულთა ასალაგმავათ.

ფრაქცია ითხოვს, რომ ეს შეკითხვა საჩქაროდ იქნეს ცნობილი და განხილულ იქნეს პირველ რიგში.

თავმჯდომარე: რეგლამენტის ძალით, თუ შეკითხვა სასწრაფოდ იქნება ცნობილი პარლამენტის მიერ, მთავრობამ მაშინ პასუხი უნდა გასცეს არა უგვიანეს სამის დღისა. აგრეთვე პარლამენტის საქმეა მოითხოვოს, რომ იგი განხილულ იქნეს პირველ რიგში. მე სიტყვას მივსცემ ერთ მომხრეს და ერთს მოწინააღმდეგეს.

რ. გაბაშვილი (დ. ნ. დ.): მხარს უჭერს შეკითხვის სისწრაფეს, მაგრამ ითხოვს, რომ იგი განხილულ იქნეს მაშინ, როდესაც სომხეთა დეპუტატები, რომელთაც, განსაკუთრებით იგი შეეხება, შეავსებენ იმ სკამებს, რომელნიც ეხლა ცარიელი არიან და პასუხი გასცენ ამ შეკითხვაზედ.

ალ. ლომთათიძეს შეუძლებლად მიაჩნია პარლამენტის მოქმედება დაუმორჩილოს ამა თუ იმ დეპუტატის, ან ფრაქციის მოსვლას და ითხოვს რომ შეკითხვა უსათუოდ პირველ რიგში იქნეს განხილული.

პარლამენტი ერთხმად შეკითხვას სასწრაფოდ სცნობს. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ალ. ლომთათიძეს.

ლომთათიძის სიტყვა.

შეკითხვას სიდინჯით უნდა შევხვდეთ.

შიშითა და გულის კანკალით გამოვდივარ ამ ტრიბუნაზედ. ჩვენი პარტია, დღიდან მისი დაარსებისა, მუდამ იმის მომხრე იყო, რომ არავის გადაედგა ისეთი ნაბიჯი და არ თქმულიყო ისეთი სიტყვა, რომელსაც გაუგებრობა გამოეწვია და ერთა შორის უთანხმოება ჩამოეგდო. ჩვენ გვსურს ამ შეკითხვას ისეთივე ხასიათი მიეცეს, როგორიც შეკითხვის ტექსტშია.

ფრიად რთულსა და სერიოზულ მდგომარეობას განვიცდით ჩვენ დღეს.

ფრიად გაჟღენთილია ჰაერი ერთა შორისი განწყობილებისა და ჩვენ ვიცით თუ რას ნიშნავს პროვოკაციაზედ აგებული ამბები.

ჩვენ ვიცით ის საზარი ამბები, რომელიც 1905 წელში გამოიწვია, სწორედ ამ პროვოკაციულ ამბებზედ აგებულმა აგიტაციამ, და მით უფრო დიდია ჩვენი სურვილი, რომ ამ შეკითხვას მეტის სიდინჯით შევხვდეთ.

ჩვენი ცის ტატნობზედ ძლივს გამოჩნდა სხივი, რომ საერთაშორისო ცხოვრებაში ჩამოვარდეს თანხმობა და მშვიდობიანობა.

ძლივს მოეფინდა ჩვენთან მახარობელი მერცხალი და შემოგვეჭიკჭიკა ზავის ამბავი.

მაგრამ თუ ეს იმედი გვებადება ჩვენ საერთაშორისო განწყობილებათა წესიერ მდგომარეობაში ჩაქცევისათვის, ესევე არ ითქმის ჩვენს სინამდვილეზედ.

სომხების მოღვაწეობა.

საქართველოს დემოკრატიას მშვიდობიანობა სურს.

ჩვენ ვიცით, რომ სომხის ერს, რომელიც არარატის რესპუბლიკაში ცხოვრობს, ასევე სურს ამ მშვიდობიანობის დამყარება.

მაგრამ იგივე არ ითქმის ამ ერის ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეზედ, რომელიც საქართველოში მოღვაწეობს.

ჩვენ არა ერთხელ გვსმენია, რომ აქ მცხოვრები სომხები მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიის თავისუფლება.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვიცით, რომ ზოგს მათგანს ვერ მოუნელებია რომ საქართველო გადარჩა განადგურებას და მარტო ჩვენ შეგვრჩა დემოკრატიული წესწყობილება.

ჩვენ ვიცით და მოწამენიც ვართ რომ ისინი ათასგვარ ცრუ ხმებს ავრცელებენ იმ მიზნით, რომ საქართველოს დემოკრატია გაჰყონ და მოქანცულ ხალხში ანარქიით და მთავრობისადმი უკმაყოფილება დასთესონ.

ჩვენ ვიცით რომ ამ მიზნით ვიღაცა არამზადებმა ძეგვის ხიდი ააფეთქეს.

ჩვენ ვიცით რომ არიან ისეთები, რომელნიც ამბობენ: რა არის ძეგვის ხიდის აფეთქება! ჩვენ უარესს ვიზამთო.

ჩვენ ვიცით, რომ მჭიდრო კავშირი აქვს გაბმული ერთის მხრით კონტრრევოლიუციონერებთან, რომელნიც სოჭის მხარეში არიან გამაგრებულნი და მეორეს მხრით საქართველოს ტერიტორიაზე არიან გაბნეულნი და ვინიცობაა ჩვენი მთავრობა შედრკა და ისინი გახსნილ კარებიდან შემოვიდნენ. აქაურები მათ წინ დახვდენ. მაგრამ, მოქალაქენო! ამით არ ამოიწურვის მოქმედება ბნელი ძალებისა.

და ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, ვისთან გვაქვს საქმე? არიან ისინი პასუხის მგებელნი თავიანთ მოქმედებაში, თუ მათ პასუხი არ მოეთხოვებათ.

ლტოლვილების საკითხი

მოქალაქენო! იმ საშინელებასთან, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ოსმალთა ურდოების შემოსევით, თავს დაგვატყდა მეორე უბედურება:

საქართველოს, რომელიც ერთს ხელის გულზეა მოთავსებული, არ შეეძლო თავისი საშუალებით გამოეკვება ის მკვიდრნიც კი, რომელთაც აქ შეუქმნიათ ეკონომიური და პოლიტიკური ღირებულებანი. თავს დააწყვენ ლტოლვილები, რომელნიც სხვა სახელმწიფოებიდან შემოიხიზნენ. უკანასკნელ ანგარიშით ამ ლტოლვილთა რიცხვი, რომელნიც სხვა და სხვა ეროვნებისანი იყვენ 300 ათას აღემატება.

აგიტაცია ლტოლვილების საკითხის გარშემო

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მთავრობა შეძლების და გვარად ეხმარებოდა მათ და ცდილობდა როგორადაც შეეძლო შეემსუბუქებია მათი გაჭირვება, ამ ლტოლვილთა საკითხის გარშემო გაჩაღდა საოცარი აგიტაცია, მიმართული მთავრობის წინააღმდეგ.

გაჩნდა ხალხი, რომელსაც სწადია გამოიყენოს მათი აღელვება და ამ მიზნით გამოიყენეს სომხური პრესსა.

შესაძლებელია მათ ეთქვათ, რომ ლტოლვილები გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან მათ მეტი დახმარება სჭიდებათ.

ამის ნაცვლათ გამოდის გაზეთი, რომელიც სწერს, რომ საქართველოს მთავრობა ავიწროებს ლტოლვილებს, არ აძლევს მათ საშუალებას სამშობლოში დაბრუნდენ და პროვოკაციულად კითხულობს: როდის გათავდება მათი ჟლეტაო.

სომხური გაზეთების პროვოკაცია

ეს გაზეთები იღებენ მხოლოდ სომეხ ლტოლვილებს, მიუხედავად, რომ სხვებიც არიან როგორც: აისორები, ბერძნები და ქართველებიც.

შეიძლება წერა მათ გაჭირვებაზედ და პრესსა მისთვის არსებობს ყურადღება მიაქციოს ამ გაჭირვებას, მაგრამ წერა რომ: „ოსმალეთში სომხების გაჟლეტის პოლიტიკას აწარმოებს ენვერ-ფაშა, აზერბეიჯანში ხან-ხოისკი და საქართველოში ნოე ჟორდანიას მთავრობაო... (ხმები: სირცხვილია, ტყუილია, საზიზღრობაა). მე არაფერს ვიტყვი ხან-ხოისკის შესახებ, ისტორია დააფასებს თუ ვინ იყო დამნაშავე ბაქოს ტრაღედიაში, მაგრამ როდესაც ამბობენ, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობა, რომელიც პარლამენტისა და მთელი ხალხის მიერ აღჭურვილია უაღრესი ნდობით, თითქოს გაჟლეტის პოლიტიკას აწარმოებდეს, განა კაცს ყელში სისხლი არ მოაწვება ამ საზიზღარი პროვოკაციის გამო? მე ვკითხულობ: სომხის დემოკრატიამ მართლა ანდო იმ ხალხს, რომელიც ამას სწერს თავის ინტერესების დაცვა?

მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ სომხის ერი აქ არაფერ შუაშია და ამ პირებმა მიითვისეს მისი სახელი.

სომხის ხალხს სურს ჩვენთან მეგობრული განწყობილება დაიკავოს და იმ ხალხის მოქმედებას. რომელიც მისის სახელით ლაპარაკობს. ჩვენ შეგვიძლია უწოდოთ მხოლოდ ალვირ-ახსნილი პროვოკაცია.

თუ მართალია ყველაფერი ის, რასაც ისინი სომხის დემოკრატიის სახელით ლაპარაკობენ, მე შევეკითხები მათ:

მიმართეს ერთხელ მაინც მოწოდებით ქართველ დემოკრატიას, და თუ მიმართეს რა პასუხი მიიღეს მისგან?

მთავრობის მოვალეობა

ვინ იცის რანაირი განსაცდელი მოგველის ჩვენ ხვალ და ესეთ მომენტში თავს დაგვეხვევიან და ვინ იცის რა ამბებს თხზავენ.

თუ ჩვენი მთავრობა რაშიმე დამნაშავეა, მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი გამოვა და ყველაფერს იტყვის.

ისეთი მოღვაწეობა კი, როგორსაც ეს პირები და გაზეთები აწარმოებენ არის დამღუპველი ჩვენი სახელმწიფოსათვის.

ვეშაპელი (ადგილიდან): ეხლა გაიგეთ?

ალ. ლომთათიძე. ჩვენ ვეკითხებით მთავრობას: იცის თუ არა ეს ყველაფერი მან და თუ იცის რა ზომები მიიღო მათ წინააღმდეგ ან რა ზომების მიღებას აპირობს შემდეგში (ტაში ყველა სკამებზე).

ნოე ჟორდანიას პასუხი

რა მოხდა ამ 5 დღის განმავლობაში

ვინაიდან შეკითხვა ეხება ფრიად სერიოზულ საკითხს და ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ ხალხში ადვილი აქვს დიდ მითქმა-მოთქმას და აგიტაციას მთავრობის წინააღმდეგ. რის გამო, შესაძლოა ახლო მომავალში ანარქიულ გამოსვლების წინდ დავდგეთ. მთავრობამ პასუხისათვის არ ისარგებლა იმ ერთი კვირის ვადით, რომელიც მას რეგლამენტი ანიჭებს და გადასწყვიტა პასუხი დაუყოვნებლივ გასცეს.

აქ ითქვა რომ, პრესაში გაჩაღებულია აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ, თითქოს, ერთერთი ეროვნების ლტოლვილთა შევიწროების ნიადაგზე და ჩვენ ვიცით რომ ასეთს აგიტაციას ყოველთვის მოსდევს ერთიმეორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება.

ეს აგიტაცია აგერ ხუთი დღეა რაც სწარმოებს და მე არ ვიცი თუ რა მოხდა ამ დღეებში ისეთი, რასაც შეეძლო მისი გამოწვევა.

ამ აგიტაციას განსაკუთრებით ადგილი აქვს გაზეთ „ორიზონში“.

მე ყურადღებას არ ვაქცევ სხვა ორგანოებს, რადგან მათ არც დიდი გავლენა აქვთ ხალხში და არც სათანადო პასუხი მოეთხოვებათ.

მე დიდ ყურადღებას არც კი მივაქცევდი ამ გაზეთების წერილებს, რომ ხელთ არ მქონდეს უფრო დიდი მნიშვნელოვანი საბუთები, რომელნიც ამ გაზეთების წერილებთან ერთად ფარდას ხდიან ამ აგიტაციის მიზნებს.

სომხების დეპუტაცია

6-ს ნოემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც სომხურ გაზეთებში მოთავსებული იყო წერილები და ანშლაგები მთავრობის წინააღმდეგ, ჩემთან გამოცხადდა მრავალ რიცხვოვანი „დაშნაკცუტუნის“ პარტიის დელეგაცია. ჩემთან მრავალი სხვადასხვა დელეგაცია მოდის, მაგრამ ეს დელეგაცია სრულებით უჩვეულო იყო და თავის მოქცევით გვაგონებდა იმ დელეგაციებს, რომელთაც წარსულ ნოემბერში ფრონტიდან მომავალი ეშელონები გვიგზავნიდნენ (ტაში ყველა სკამებზე).

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მათ ნახტომი შეეშალათ (ტაში).

მე მგონია, რომ „ჰორიზონის“ დელეგაცია ეშელონების დელეგაციებზე უფრო ადვილია (ტაში ყველა სკამებზედ).

მე ვიცნობდი მხოლოდ ერთს წევრს ამა დელეგაციისას, რომელიც მას მეთაურობს.

ეს გახლდათ ქალაქის თავის ყოფილი ამხანაგი იავჯიანი.

მან აიღო სიტყვა და დელეგაციის სახელით მითხრა, რომ მე მოვაწყე ეს დელეგაცია და წამოვყევი მათ, რომ თავიდან ამეცილებია თქვენთვის ყოველივე უბედურება და თქვენგან პასუხს ვითხოვო.

მე ცუდად ვლაპარაკობ სომხურს და კანტიკუნტად ვკითხულობ მათს გაზეთებს და ამიტომ არ ვიცოდი, რომ ეს წერილები და ანშლაგები სწორედ იმავე დღეს იყვნენ მოთავსებულნი, თორემ სხვანაირი საუბარი მექნებოდა მათთან.

ბრალდებანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

მათ სთქვეს, რომ ოსმალები თანახმანი არიან, რომ სომეხნი-გადმოხვეწილნი თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ და მათ არ [illegible] ყველა სკამებზე: [illegible] შვებთ?).

შემდეგ მეორე ბრალდება, რომ ლტოლვილებს, რომელნიც ბაკურიანში იმყოფებიან, ჩვენი ჯარი პურს ართმევსო.

და მესამე ბრალდება გახლდათ, რომ ჩვენ დავიჭირეთ ექიმი კარჩიკიანი და მღვდელი ბალაიანი, რომელნიც იქ მუშაობდნენ, რომ ლტოლვალთა გაჭირვება შეემსუბუქებინათ.

ამ ბრალდებებმა და განსაკუთრებით პირველმა, მე ძალიან შემაწუხა და ვკითხე მათ: მართლა ფიქრობს სომხის ხალხი ამას და სჯერა მას, რომ ოსმალეთი მათ მეგობრობს და საქართველო კი მტერია, რომელიც ხელს უშლის მათს ლტოლვილების მდგომარეობის მოწყობას.

მე ეჭვიც კი შემეპარა, ვაი თუ რაიმეს ამისდაგვარს სადმე ადგილი ჰქონდა, ეს გაიგეს ამ სომხებმა და ამის გამო ლაპარაკობენ ასეთის რიხით-თქო.

დაუყოვნებლივ დავიბარე სამხედრო მინისტრი და მასთან ერთად პირდაპირი მავთულით დაველაპარაკე გენერალ მაყაშვილს.

გენერალი მაყაშვილი.

უნდა ვთქვათ, რომ საზღვარზედ მყოფი ჯარების უფროსად მთავრობამ დანიშნა ღენერალი მაყაშვილი მისთვის, რომ იგი ახალციხეში იყო უწინ და არ დაემსგავსა სომხების იმ ღენერლებს, რომელნიც ბაქოში ბრძოლის ველიდან გამოიქცნენ და ხალხი ამოსაჟლეტად დასტოვეს (ტაში ყველა სკამებზედ). როდესაც ოსმალები ახალციხეში შედიოდნენ, ღენერალი მაყაშვილი იქ იყო უკანასკნელ დრომდე და ან ოსმალთა შემოსვლამდე თავის ადგილი არ მიუტოვებია და მისი მზრუნველობის გამო იქ არც ერთი სომეხი არ დაშავებულა, რასაც დაამტკიცებს ამ პარლამენტში მყოფი იქაური ქალაქის თავი ბ-ნი ზორიანი.

აი ასეთი ღენერალი გავგზავნეთ ჩვე იქ და ეხლა მე მინდოდა გამეგო მისგან, იყო თუ არა მსგავსი რაიმე იმისა, რასაც ეს დელეგაცია მოგვითხრობდა.

საქმის ვითარება.

პირველი კითხვა იყო: მართლა უშვებენ თუ არა ოსმალები სომხებს?

მეორე კითხვა: მართალია თუ არა, რომ ჩვენმა ჯარებმა რეკვიზიცია უყვეს ლტოლვილთა პურს?

მესამე კითხვა: მართალია თუ არა, ექიმის კარჩიკიანის და მღვდლის აბელიანის დაპატიმრება და თუ მართალია, რა მიზეზით?

პასუხი ამ კითხვებზე შემდეგი იყო:

1) ოსმალები ლტოლვილთა გასაშვებათ ითხოვდენ კომისიის ნებართვას.

2) როდესაც ჯარი შევიდა ამ მხარეში, მას დააკლდა პური და ლტოლვილთაგან ისესხა, რაც მიღებისათანავე დაუყოვნებლივ უკანვე დაუბრუნა.

ექიმი კარჩიკიანი და მღვდელი აბელიანცი დაპატიმრებული იქმნენ მისთვის, რომ აგიტაციას ეწევიან, რათა სომხებმა ახალციხეში ქართველები არ შეუშვან და თვით ლტოლვილების თხოვნა იყო ჩამოეცილებიათ ის პირები, რომელიც ქართველთა საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან.

თქვენ ხედავთ, რომ არც მთავრობას და არც ღენერალ მაყაშვილს არავითარი დაბრკოლება არ გაუწევია, რომ ლტოლვილნი თავიანთ ადგილებისკენ დაბრუნდნენ.

„ორიზონმა“ და „დაშნაკცუტუნის“ პარტიამ კარგათ იციან, რომ ოსმალონი ლტოლვილებს შინ არ უშვებენ, მაგრამ ეს ბრალდება განგებ მოაბრუნეს და ჩვენ მოგვმართეს.

სომხის დემოკრატია ჩვენთან არის

მიდიან და ეწევიან აგიტაციას ამ ლტოლვილებში ჩვენს წინააღმდეგ. არის მთელი ორგანიზაცია, რომელიც მიდის ამ ხანში, აგრეთვე აჭარაში და სხვა ადგილებში და ჩვენ საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან. მაგრამ საღი ინსტიქტი უკარნახებს თვით ხალხს არ აწარმოოს ამ ხალხის ქადაგება.

იმ დელეგაციაში, რომელიც ჩემთან მოვიდა, იყო ერთი მუშა ტრამვაიდან, რომელმაც მითხრა რომ სომხის დემოკრატიას არაფერი აქვს ქართველების საწინააღმდეგო, მაგრამ მათში დემაგოგიური საშუალებებით საოცარ აგიტაციას ეწევიანო.

ლტოლვილების საქმე

ამ საქმეს აწარმოებდა ცალკე ორგანიზაცია: „აღმასრულებელი კომიტეტი კავკასიის ფრონტის ლტოლვილთა“. ამ კომიტეტში შედიოდენ ყველა ეროვნების წარმომადგენელნი, ეს კომიტეტი თავის მოქმედებას საქართველოს დამოუკიდებლობის გა-

მოცხადების შემდეგაც განაგრძობდა და მისი საქმეები ჩვენ მხოლოდ ივნისში მივიღეთ, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თვე ნახევრის შემდეგ.

ამიერ კავკასიის სეიმმა ამ კომიტეტს გადასცა 15 მილიონი და ამ ფულში სომხების საბჭომ მიიღო 10 მილიონი მანეთი თუ რამდენია ლტოლვილი სწორედ გამოანგარიშებული არ არის, მაგრამ ნავარაუდევია 300 ათასი, ეს ციფრი კიდევ ძირს რომ დაუშვათ 150 ათასი მაინც უნდა ვიანგარიშოთ; ამათში სომხები არა ნაკლებ 120, 110 ათასი მაინც იქნებიან. ესენი იყვენ გადმოხვეწილნი ორი მხრით: ერევნის გზით თბილისში და ახალციხე-ახალქალაქიდან ბაკურიანში.

თბილისში მყოფნი ლტოლვილნი ხოლერის გამო გაყვანილ იქმნენ მე 300 ვერსზედ, რადგან იქ უფრო კარგი ჰაერია, ბინაც უკეთესად მოწყობილი და წყალიც უმჯობესი.

ეხლა იქ 40 ათას ლტოლვილიდან 6 ათასი თუ იმყოფება. შეიძლება თქვენ. რომ დანარჩენი დაიხოცნენ; არა. ისინი გაითქვიფენ თბილისში და სოფლებში და ჩვენ წინაალმდეგობა არ გაგვიწევია.

ბაკურიანში, აგრეთვე, 120 ათას ლტოლვილში 50 ათასი და დარჩა. დანარჩენნი ურმებით მოედენ საქართველოს სხვადასხვა სოფლად. თქვენ იცით რომ ჩვენს სოფლებში როგორ უსიამოვნოთ იღებენ ჩვენი სოფლები ახალ მოსახლესთ არამც თუ უცხოთ, თვით ამა სოფლის ქალაქიდან დაბრუნებულ მუშებს, რადგან ეშინიათ რომ ისინი მიწას დაიჭერენ, მაგრამ ჩვენ წინაალმდეგობა მაინც არ გაგვიწევია.

(დასასრული იქნება).

დროებითი ზავი

შეთანხმების სახელმწიფოებმა თანხმობა განაცხადეს ზავზე

ლონდონი. 6 გიორგ. ვილსონმა გერმანიის მთავრობას გაუგზავნა მოკავშირე სახელმწიფოთა საპასუხო ნოტა. საპასუხო ნოტის შინაარსი შემდეგია: „მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობები დაკვირვებით გაეცნო შეერთებულ შტატების პრეზიდენტისა და გერმანიის მთავრობის შორის მიწერ-მოწერას. მოკავშირენი სრულ თანხმობასგან აცხადებენ შეკრას ზავი გერმანიის მთავრობასთან პრეზიდენტის მიერ როგორც 8 იანვრის კონგრესისადმი მომავალ პირობებათა, ისე შემდეგ წამოყენებულ პირობებათა თანახმად. მაგრამ მათ მაინც უნდა აღნიშნონ, რომ მეორე მუხლი, რომელიც „ზღვათა თავისუფლებას“ ეხება, სხვადასხვანაირად არის ახსნილი და განმარტებული და ზოგიერთ მათგანის მიღება შეუძლებელია. ამიტომ ისინი იძულებული არიან საზავო კონფერენციის დროს ამ საკითხზე საკუთარი აზრი და განმარტება იქონიონ. კონგრესისადმი მიმართულ პირობებში პრეზიდენტმა აგრეთვე განაცხადა, რომ დაპყრილი ტერიტორია უნდა გაიწმინდოს და აღდგენილ იქმნას. მოკავშირეთა მთავრობანი დარწმუნებული არიან, რომ ამის აღსრულების წინაალმდეგ არ წავლენ. მოკავშირეთ ესმით ეს ისე, რომ გერმანიამ უნდა დააკმაყოფილოს მოკავშირეთა ის მცხოვრებნი, რომელნიც დაზარალდნენ გერმანიის მიერ ხმელეთზე, საზღვაო და საჰაერო თავდასხმით. დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ ვილსონი ეთანხმება განმარტებებს და შეერთებულ შტატების მთავრობამ ნება დართო მარშალ ფოშს მიიღოს გერმანიის მთავრობის რწმუნებულნი, რომ მათ გააცნოს დროებითი ზავის პირობები.

გერმანიის საზავო დელეგაცია

პარიზი. 8 გიორგ. მარშალი ფოში ადასტურებს, რომ გერმანიის დელეგაცია ბრძოლის ხაზსე გადმოვა დღეს საღამოს 10 ს. გუდრუასთან.

გერმანულ ჯარის დემობილიზაცია.

ბერილინი. გერმანული პრესა. 7 გიორგ. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ 1870—71 წ. ჯარისკაცთა კონტიგენტების ნაწილი, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებენ, სამშობლოში დააბრუნონ დაუყოვნებლივ.

ბავარიის სამხედრო მინისტრის ბრძანებაში ნათქვამია „დროებით შერიგების პირობების, (რომელიც შეთანხმების სახელმწიფოებმა ავსტრიას წარუდგინეს), განხორციელების გამო ჩვენს საზღვრებს საფრთხე მოელის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან. ბავარიის ხალხი, რომელმაც ამ ომის განმავლობაში გასაოცარი გამბედაობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა, მტკიცედ შეხვდება ამ საფრთხეს. საფუძველი შეშფოთებისა არ არის. საფრთხის თავიდან ასაცილებლად უკვე მიღებულია ზომები და ხორციელდება კიდეც იგი. ხალხს დაუყოვნებლივ ეცნობება, თუ მოლოდინის წინაალმდეგ, რაიმე პირდაპირი საფრთხე მოგვევლინება.

სამხედრო წესების გამოცხადება

რადგანაც იარაღის ჩაბარება წესისამებრ არ მოხდა და დამოუკიდებელ საქართველოს წინაალმდეგ აგიტაციას ეწევიან, ამასთანავე სტრატეგიულ მნიშვნელობის ხიდის აფეთქების გამო თფილისში საალყო წესები გამოცხადდა. თბილისის გენერალ-გუბერნატორად ინიშნება გენ. მაზნიაშვილი, რომელსაც დაემორჩილება თბილისის შეიარაღებული ძალები და რკინის გზის ლიანდაგი ნავთლუღ-დიდუბეს შუა. ბრძანება ძალაშია 8 გიორგობისთვის ღამის 12 საათიდან.

ძეგვის ხიდი.

გუშინ, გიორგობისთვის 9 ძეგვის ხიდის დასათვალიერებლად თბილისიდან ქსანს გაემგზავრნენ გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე, თბილისის გენერალ-გუბერნატორი მაზნიაშვილი და რკინის გზათა საერთო საქმის მმართველი ფიცხელაური. ხიდი უკვე შეკეთებულია და პირველი სამგზავრო მატარებელი გაივლის დღეს, ხოლო წესიერი მიმოსვლა გიორგობისთვის 12-დან დაიწყება. ხიდს მომავალში არავითარი საფრთხე არ მოელის.

ქრონიკა

კარჩიკიანის ბინის გაჩხრეკა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გუშინ გაჩხრიკეს ამიერ-კავკასიის კომისარიატის ფინანსების ყოფილი კომისარი კარჩიკიანი, რომელიც დღეს სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრია. კარჩიკიანი ამ ჟამად ერევანშია.

ნავთი გზათა მინისტრის განკარგულებით ინჟ. ბულგაკოვი გაიგზავნა ფხოველის და შირაქის ნავთიან ადგილებში მუშაობის ხელმძღვანელად.

შეშის ჩამოტანა. ქალაქის გამგეობამ მოიწონა ა. ხოშტარიას პირობები, მოქალაქეთათვის შეშის ჩამოტანის შესახებ და დაადგინა ხელშეკრულობა დაიდოს მასთან ამ საგანზე.

ქართული ლატარია. ლატარიის ბილეთები ბლომად საღდება. ბილეთებს ისევ შეძლებული ხალხი ყიდულობს. ვაჭარმა ქებაძემ ლატარიის 50.000 მ. ბილეთი შეიძინა.

ლევან ყიფიანის დაპატიმრება. 8 გიორგობისთვეს შინაგან მინისტრის განკარგულებით „კავკ. სლოვოს“ რედაქციაში გამოცხადდნენ ქალაქის მილიციის მოხელენი ამ გაზეთის ფელეტონისტის ლევან ყიფიანის დასაპატიმრებლად, მაგრამ ყიფიანი იმ დროს რედაქციაში არ აღმოჩნდა.

მალიანტოვიჩის ჩამოსვლა. თბილისში ჩამოვიდა ყოფილი მინისტრი რუსეთის დროებით მთავრობისა მოსკოვის ნაფიცი ვექილი მალიანტოვიჩი. მალიანტოვიჩი წევრია უფის ახალი მთავრობისა. მას დავალებული აქვს გამოარკვიოს თუ როგორ უყურებს საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის აღდგენის საკითხს, რომელიც უფაში იწყება.

ავსტრო-უნგრეთის სამხედრო ტყვეთა კომისია აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი არცერთი ავსტრია-უნგრელთა სამხედრო ნაწილი და ყოფილი სამხედრო ტყვეები საქართველოში არ სარგებლობენ სურსათით და რომ ყველა სურსათი გარდა ხორცისა მათ სამშობლოდან მოსდით.

ბაქოს ქართველები. გზათა მინისტრს ბაქოდან აუწყებენ, რომ საქართველოში წამოსასვლელად მზათაა ქართველთა მეორე ჯგუფი, რიცხვით 300 კაცი, მაგრამ ადერბეიჯანის მთავრობა ვაგონებს არ იძლევა. გზათა მინისტრს სთხოვენ მათთვის 30 ვაგონი გაიგზავნოს.

სომეხი-ლტოლვილები. ერევანში სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სომხეთის ტერიტორიაზე მყოფი სომეხი ლტოლვილები თავიანთ ადგილზე ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში დაბრუნდებიან, რადგან ოსმალები მანამდე არ გაანთავისუფლებენ დაკავებულ ადგილებს.

ოსმალების წასვლა ბათუმიდან. ბათუმიდამ ჩამოსულის სიტყვით ოსმალებმა ზოგიერთ ფორტიდან მოხსნეს ზარბაზნები და სხვა იარაღი და ნავთსადგურში შეზიდეს ოსმალეთში გასაგზავნად. ბათუმიდან ოსმალთა ჯარი წავიდა, დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი ქალაქის დასაცველად. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. სანოვაგე თვალსაჩინოდ გაიაფდა. მცხოვრებნი სიხარულით მოელიან ოსმალების წასვლას.

ქ. შ. წ. კ. საზ. რწმუნებულთა კრება. დღეს, 12 საათზე, დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზ. რწმუნებულთა საზოგადო კრება. (ფრეილინის ქ. № 11(რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები ქ. შ. წ. კ. გ. საზ. კანცელარიაში დილის 10 საათ. $11\frac{1}{2}$ საათამდე. ხმის უფლება კრებაზე მხოლოდ რწმუნებულებს აქვთ.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“ დღეს წარმოადგენენ „სიკვდილით დასჯა“-ს და ცაგარლის კომედია „მათიკო“-ს.

თბილისის კლუბების კავშირი ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობს, რომ კლუბებს ნება მისცენ ლოტოს თამაშობისა იმ პირობით, რომ მას აზარტის ხასიათი არ ექნება და შემოსავლის ნაწილი ქალაქის რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულების გადაეცემა.

საქართველოს მისია ბაქოში. გიორგობისთვის 8 თბილისიდან ბაქოში ჩქარი მატარებლით გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური მისია.

რედაქციისაგან

რედაქცია სთხოვს პარტიულ ამხანაგებს და ჩვენი მიმართულების თანამგრძოლებს, მოგვაწოდონ კორესპონდენციები. აღნუსხონ ფაქტები და პირადობას ნუ შეეხებიან.

პროვინციის ქრონიკა

სიღნაღი. სიღნაღის მაზრაში მძვინვარებს „ესპანური ავადმყოფობა“ სიკვდილის შემთხვევები უექიმობის გამო ბევრია.

ს. ეკი. საკუთარ სახლში მოჰკლეს ანტონ ტაბალუა. მკვლელები მიიმალნენ.

ნაქერალა. ამას წინედ ნაქერალას მთის წვერზე ყაჩაღები ხოტევის კომისრის და მილიციონერთა სახელით მგზავრებს ჰჩხრეკდნენ და ყველაფერს ართმევდნენ. მილიციონერები თავს დაესხნენ მათ და ორი საათის ბრძოლის შემდეგ ავაზაკები ივლტოდნენ. დასტოვეს 2 ათას მანეთის ნაძარცვი და სხვა.

გერმანულ დელეგაციაში

დროებითი ზავი საფრანგეთის ფრონტზე მართალი არ არის

გაზეთებში ცნობები იყო, თითქოს საფრანგეთის ფრონტზედ მებრძოლ მხარეებს დროებითი ზავი ჩამოეგდოთ. გერმანელ დელეგაციის აზრით, ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება, რადგან დღესაც მიღებული რადიოდეპეშები ამ ფრონტზე საომარ მოქმედებას მოწმობენ.

გერმანულ და ტიროლ ჯარების უთანხმოება

გერმანული ჯარები, [illegible] ჰალცბურგზედ მიდიოდნენ, ტიროლის მთავრობამ არ გაუშვა.

ჰალცბურგში გაიგზავნენ ბავარიელთა დამატებითი ჯარები და იმ შემთხვევაში, თუ ტიროლზე ისინი არ გაუშვეს, ძალით გაივლიან.

ამ ჯარების მიზანია მხოლოდ ბავარიის საზღვრების დაცვა, რაიც საჭიროა მისთვის, რომ დასავლეთ ფრონტიდან დაბრუნებული ავსტრიელ ჯარებს შეძლება მისცენ სამშობლო საზღვრებში შევიდნენ.

ზავის გარშემო

საფრანგეთის სოციალისტებში თანთან ძლიერდება ზავის სურვილი.

ინგლისის მუშათა პარტიების ხელმძღვანელების უმრავლესობამ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება მოითხოვა.

ბოლშევიკები გერმანიაში

რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა გერმანიის მთავრობასთან იოფემ უკვე დასტოვა გერმანიის საზღვრები. ბოლშევიკების ბიურო ბერლინში დაიხურა და ყველა საქმეები პოლიციას გადაეცა.

ბოლშევიკები გერმანიაში ფეხს საგრძნობლად მაინც ვერ იკიდებს. ჯარების რამოდენიმე ნაწილში გაავრცელეს ფურცლები, რომელნიც ჯარს სოციალისტურ რევოლუციისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, ეს ფურცლები რუსეთიდან იქნა შემოტანილი.

სოციალისტური მოძრაობა, რასაკვირველია, ძლიერია, მაგრამ რუსული ხასიათი შეუძლებელია, რომ მიიღოს.

პროფ. ცუგმაიერის აზრით რუსული ზომიერი სოციალისტები იქაურ უკიდურესებს ჰგვანან.

გერმანელი ჯარი საქართველოში

უკანასკნელი გემი გერმანული ეშელონებით ფოთიდან გავიდა 4 ნოემბერს ღამით. დანარჩენი ეშელონები აღარ წასულან, რადგან შავზღვაში ინგლისელ წყალქვეშების გამოჩენის შესაძლობა იყოს.

პარტიული ქრონიკა

† **მიხ. ყორლანაშვილი.** ოთხშაბათს, გიორგობისთვის 6-ს, გორის მაზრის სოფ. ლამის-ყანაში მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიის წევრი, ყოფილ თბილისის მესამე და მეოთხე უბნების კომიტეტის წევრი მიხეილ კონსტანტინეს ძე ყორლანაშვილი. განსვენებული ითვლე-

---

შენიშვნა:

ეს წერილი დასაბეჭდად იყო კიდეც გამზადებული, როცა გრიშაშვილის წერილი წავიკითხე (იხ. „სახალ. საქმე“, № 379). გრიშაშვილი სიტყვას ბანზე ისვრის, რომ პირდაპირ დასმულ საკითხს გვერდი აუხვიოს,—მაგრამ ამით ვინ უნდა შეაცდინოს?!

აი საკითხი: მართლა ოთხი სახის რითმით იყვნენ ასხმულნი ძველად კლასიკური სონეტის „ოთხიანები“, როგორც ეს გრიშაშვილს ჰგონია თუ არა?? ამ საკითხზე ორი პასუხი შეუძლებელია: გრიშაშვილი სცდება—და მიტომ მივუთითე: ენციკლოპედიური ლექსიკონით მაინც გაეგო ეს.

ქვეით დაინახავს მკითხველი, თუ რა „სონეტებს“ სწერდა გრიშაშვილი და რა სახის „პოეტურობაა“ მათში.

—

სონეტი საქართველოში

ი. გრიშაშვილი „საათნოვაში“ მიმტკიცებს: საქართველოში სონეტი ყანწელებამდიც“ იყო შემოსულიო. მე ვამტკიცებ წინაალმდეგს.

დავიწყოთ შანშიაშვილით.

1909 წელს მან მოათავსა „საქართველოს მოამბე“-ში ლექსი, რომელსაც სონეტს უწოდებს:

ზღვა ბობოქრობდა.. ქაფს ღმუილით მაღლა ისროდა;
გაღმა ნაპირი შავის ღრუბლით იბურებოდა;
მკრთალი ფირფატი სადღაც კლდეში შიმალულიყო;
ხმა ქუხილისა ტალღის ღრიალს უერთდებოდა.
ზვირთი-მთა-გორი მოგორავდა ფაფარ-აშლილი:
ნაპირს ებრძოდა.. ჩემს ფერხთა წინ სხივზედ ელავდა;
გულხელდაკრეფით ჩათხრობილი ვიდექ მდუმარე,
მაგრამ ნორჩ გულში ჩემს მტანჯველად გრძნობა ღელავდა!
ოჰ, ნეტავ იმ დროს შეგეწყვიტა ფიქრი მქენჯავი
და მივცემოდი, ვით სალი კლდე, თავდავიწყებას;
ასული ზღვისა მომხიბვლელი თვისკენ მიწვევდა,
მსუბუქი ქარი ჩრდილოს ჰფენდა ნათელ ხატებას.
—მენავევ, ჩქარა! ნავში ჩავჯექ, მივყე კვალდაკვალ,
მაგრამ ვერ მივწვდი მოციმციმე ჩემს ნაზს ოცნებას.

ასეთია ეს ვითომ-და სონეტი. აქ გარდა თოთხმეტი სტრიქონისა სონეტის არა არის რა. გარე-მხარე: ლექსი არ არის გარითმული არც ჯვარედინი რითმით და არც მოლევდილი რითმით; ის, რაც რითმად არის აქ მოყვანილი, ან შაბლონია (ელავდა-ღელავდა) ან არაკეთილხმოვანი (თავდავიწყებას-ხატებას). შინა-მხარე: არ არის აქ ერთი პოეტური იდეა ხატულად მოშვილდული სონეტის რკალში; პოეტურობა ლექსის მდარეა მეტად.

ა. შანშიაშვილს ეკუთვნის აგრეთვე ლექსი (მოთავსებულია კონაში „ბაღი სევდისა“), რომელსაც აგრეთვე სონეტს უწოდებს იგი:

უსაზღვრო სივრცე.. ბნელი უდაბნო.
ვსდგევარ მარტოკა აღელვებული;
მას არა ვნაღვლობ, რომ მივატოვე,
წალკოტი, ტურფად აყვავებული.
სულსა მოსწყინდა ერთსახეობა,
თვით მსურს წამება სხვა და სხვა გვარი;
შთავალ ჯოჯოხეთს, ოღონდ კი ვპოვო
ჩემთა ლტოლვათა თავშესაფარი.
გზაში შემომხვდი მხოლოდ შენ ერთი:
სულის დემონი, მტანჯველი ღმერთი!
გამოგიწოდე ხელი მთრთოლვარე;
ერთად მივდივართ, ვეძებთ სხვა სადგურს,
შენა ხარ სევდა, მომითხრობ წარსულს,
დამწვი, მაწამე, დამასამარე.

ამ ლექსშიაც სონეტისა მხოლოდ თოთხმეტ-სტრიქონობაა მხოლოდ. გარე-მხარე: ლექსი გამართულია ათმარცვლოვანი მეტრით, რაც არ ეგუება ქართულ სონეტს; „ოთხიანები“ არ არიან შეკედილნი არც მოლევდილი და არც ჯვარედინი რითმებით, რაც არის რითმად—ან არის მდარე (აღელვებული—აყვავებული) ან შაბლონი (ერთი—ღმერთი) ან უხეში: სმენისათვის (მრთოლვარე—დამასამარე). შინა-მხარე: არ არის არავითარი საგულისხმო პოეტური იდეა, არც პოეტური ხატი; ლექსის პოეტურობა პრიმიტიულია პირდაპირ.

კ. მაყაშვილის სონეტები („ჩანგი“ 1910). აი ერთი მათგანი:

ვიწექ გულაღმა და ვოცნებობდი...
მძინარე ცაზე ვარსკვლავნი კრთოდენ.
რადაც იდუმალს სევდასა ვგრძნობდი,
მაშვრალ თვალთაგან ცრემლები რბოდენ.

ვიყავი მარტო. სულით ობოლი,
უსიხარულო, დავიწყებული.
ვითა უმწეო მჭკნარი ფოთოლი,
ხიდამ მძაფრ ქარით ჩამოგდებული.
ტურფა ზამბახი, იქ ახლოს მდგარი,
ჩემსკენ იხრიდა თავსა ნარნარი
და სნეულ ტანჯვად გულზე მეკროდა,
მაგრამ მწუხარეს თვითონ მჭვუნვარე,

ჩაფიქრებული, მუდამ მდუმირე
ობოლი ობოლს ვერრას მეტყოდა.

სონეტი არც ეს ლექსია, ათმარცვლოვანი მეტრით ქართული სონეტი ვერ იქედება; რითმები, მართალია, შეჯვარედინებულნი არიან, მაგრამ ლექსის პირველი ნახევრის ორს „ოთხიანში“ არ არის ორფა რითმა გაყვანილი. „ობოლი ობოლს ვერრას მეტყოდა“—გვაგონებს ცნობილს: „მშობელი შობილს არას მეტყოდა“. ასეთებია სხვა სამი ლექსიც, ხსენებულ კრებულში მოთავსებული.

ა. აბაშელის სონეტი („მზის სიცილში“):

მე თვალს მარიდებ—შენ რად ეძებ ჩემს თანაგრძნობას?
არა მსურს ვნახო შენს ტუჩებზე ღიმილის ვარდი!—
ვიცი, ვერ დავძლევ ცეცხლად ნაფეთქ საშიშარ გრძნობას,
ვიცი, დავკარგავ სულის ვარსკვლავს, თუ შემიყვარდი.
გრძნობის უფსკრული ცეცხლის ზღვაა, ბნელით მოცული,
მის მწველ ტალღებში სძინავს დემონს, —რღვევის ანგელოზს,
შენ კი ქარიშხლის ფრთებზედა ხარ ჩემთან მოსული,—
შენგან აღძრული ცეცხლის ქარი ვან განელოს?
მე ჩემი სულის ლაჟვარდ ცაზე ვნახე ვარსკვლავი
და მის სხივებში მინდა დავსწვა შავფიქრთ საფლავი,
რომ ფრთა-გაშლილმა შევძლო ცისკენ ლაღად ნავარდი;
შენ კი გსურს სული ამიშფოთო და დამიჩრდილო!
ოჰ! მომარიდე შენი სახე, რომ ცა ვიხილო,
თორემ დავკარგავ სულის ვარსკვლავს თუ შემიყვარდი.

ამ ლექსის სონეტობას ბევრი რამ არღვევს: მეოთხე სტრიქონი პირველი „ოთხიანისა“ განმეორებულია მეორე ტერცეტის მესამე სტრიქონში; განმეორებულია აგრეთვე სიტყვები: „ცეცხლი“ სამჯერ, „გრძნობა“ ორჯერ, „ვარსკვლავი“ ორჯერ, „სული“ ორჯერ,—და სხვებიც (სონეტში სიტყვის ასეთი განმეორება მართებული არ არის); პირველი-ნახევრის ორი „ოთხიანი“, თუმცა შეკრულია ჯვარედინი რითმით, მაგრამ ორფა რითმა შიგ არ არის გაყვანილი.

მ. გობეჩია სონეტი („სახ. გაზ.“, 1910, დამ. № 1): „პარიზის სონეტებიდან“:

შენი სიცოცხლე ვით საკმეველი
ტანჯულო გმირო დაიწვა სოფლად,
ადიდა ღვთისა საკურთხეველი
და მოევლინა კაცთ მახარობლად.
მათთვის ძველ ქვეყნის დამარღვეველად
აფრქვევდი ახალ სხივს მანათობლად.
და შენი ბუჩქი ვარდის მრხეველი
ყველგან ისხამდა ყვავილსა მრჩობლად.
იძინე უკვდავთ სავანეს შინა
რაც მადლიერი მშობელი ერი
სდგას მოწიწებით შენს კუბის წინა.
შთაგვბერე კიდეც სული ძლიერი
ვიდრე ვარდებს არ დაგვიგვიან,
მთლად შენი აღთქმა ღვთივ-მშვენიერო!..

თუ ეს ლექსი სონეტია, მაშინ ყოველი ლექსი სონეტი უნდა იყოს. „ოთხიანები“ სრულებით არ არია სონეტური რკალით შეკრულნი. რითმები მხოლოდ სიღარიბეს ამხილებენ. სახეები პრიმიტიულნია მეტად. რიტმი არ ამართლებს ქართულ სონეტს. ასეთს ყაიდაზე აქვს მას დაწერილი სხვა „სონეტებიც“.

ახლა თვითონ **გრიშაშვილის** „სონეტები“; პირველი („ჩანგი“, 1910); „რისთვის მიყვარხარ“ (ავტორის მიერ სონეტად მონათლული:)

ასე მხურვალედ, თავდავიწყებით,
გრძნობა-მღელვარი,
და გულ დამწვარი,
ასე უზომოდ, უშწიკვლელოდ, გზნებით
ჩემო ლამაზო, ამიხსენ... მითხარ,—
რისთვის გაღმერთებ, რისთვის მიყვარხარ?!

ამას მოსდევს კიდევ ორი ასეთნაირათვე აწყობილი ტაიპი. გრიშაშვილისათვისაც ნათელი უნდა იყოს ახლა, რომ ამ უბრალო ლექსში სონეტის ჩანასახიც არ არის.

მეორე ლექსი (იქვე)—„მრავალტანჯულსა ამა სოფლადა“—სონეტად არის წოდებული,—ხოლო გრიშაშვილის წიგნში რომანსად (კიდევ კარგი, რომ სახელი შეუცვლია!).

მესამე ლექსი („სახ. გაზ.“ 1909 წ. № 50), სონეტად წოდებული,—პირდაპირ ამ სათაურითაა: „სონეტები“,—და იწყება:

ა.

ღამეა ბნელი..
უსაზღვრო ვრცელი..
გარეთ თოვს, ყინავს, შიგნით კი ცივა,
ლაწვზე თრთის მწუხრი და ცრემლი მწველი
კვლავ ლაპა-ლუპით თვალთაგან მცვივა.,
და ასე: ქვევით..

რასაკვირველია: ამ ჟამად არც თვითონ ავტორისათვის უნდა იყოს ეს ლექსი სონეტი.

მეოთხე (მის წიგნში):

ვნახე სიზმარი: ქალწულ ქალებს ცრემლით, ქვითინით
მოჰქონდათ კუბო შემკობილი ვერდით, გვირგვინით,
ცასა სწვდებოდა პირის უფალთ მოთქმა-სიტყვები,
ცრემლად დნებოდნენ თვით უსულო საფლავთა ქვები.
სატრფოვ, გიცანი: ეს შენ იყავ სტკბებოდი ძილით,
ვიცანი შენი თმა ხუჭუჭა, თმა მგოსნის სიმი;
შავი თვალები დაგეხუჭა ნეტარ ღიმილით,
ორ ვარდს ერთს შტოზე მომბულ ტუჩებს ეკ კრთოდათ ღიმი
უკანასკნელად დამეკონე... ცრემლი დავღვარე,
პირობისამებრ მუჭით მიწა მე მოგაყარე.
და ზამბახ—იით მოვრთე ტურფა შენი სამარე
გამომელვიძა, შხამ-ნაღველი გულს შთამესახა
და ვსთქვი: ახ, ნეტავ ეს სურათი ცხადლივ მენახა
ცხადლივ გენახა სატრფო გველი კუბოს მდებარე.

სონეტის ამ ლექსში მარტოდ-მარტო ის არის, რომ იქ თოთხმეტი სტრიქონია; მეტი არაფერი. პირველ „ოთხიანში“ პირველი ორი სტრიქონი ერთი რითმით იკვრება, მეორე ორი სტრიქონი მეორე რითმით, რაც სონეტისათვის ყოვლად შეუწყნარებელია მეორე „ოთხიანი“ ჯვარედინი რითმით არის შეკრული, მაგრამ პირველ ოთხიანთან არ არის შეთანხმებული, ტერცეტების რითმები არ არიან „განწევრებული“ „დავღვარე—მომაბარე“ და შემდეგომ: („სამარე—მდებარე“); სონეტის შინაფორმაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

გრიშაშვილის წიგნში მოთავსებულია კიდევ „სონეტები“ ერთწყებად. ისინი ერთნაირათ არღვევენ სონეტის ფორმას, როგორც ზემოაღნიშნული ა. აბაშელის ლექსი,—და მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

რაც შეეხება ტ. ტაბიძისა და გ. ტაბიძის სონეტებს (— „ყანწების“ გამოსვლამდე), მე მგონია, თვითონ ავტორები არ ჩათვლიან მათ მართალ სონეტებათ.

ამით ვათავებ ამ მოკლე მიმოხილვას. აქ მოყვანილი ლექსების გარჩევის დროს მე ვხელმძღვანელობდი სონეტისათვის საჭირო მინიმალური მოთხოვნით, მაგრამ მიუხედავათ ამისა არც ერთი მათგანიც დაახლოვებით არ შეიძლება სონეტად იყოს მიღებული.

რაც შეეხება მოდერნისტების სონეტებს (— მათ შორის ჩემსასაც), ამაზე ცალკე.

გრ. რობაქიძე.

ბოდა აგრეთვე მცხეთის საეპარქიო საბჭოს წევრად. სულ ახალგაზრდა ყმაწვილი იყო—22 წლისა. ამხანაგებში განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავისის სათნოიანის ხასიათით, იშვიათის სულიერის სისპეტაკით. ამ რამდენისამე ხნის წინ განსვენებული მოხალისედ ჩაეწერა ჯარში და მსახურობდა ქართულ საპიორთა ბატალიონის შტაბში.

ომი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო

დასავლეთის ასპარეზი

ბერლინი. მთავარ ბანაკის ცნობა. შელდის აღმოსავლეთ ნაპირზე უდენარდის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთის მხარეზე გამაგრებული ფრანგები მდინარე მეორე მხარეზე კონტრიერიშით უკუ ვაგდეთ. შელდასა და მეუზას შუა გადაჯგუფებას განვაგრძობთ. ვალანსიენ მონის გზის სამხრეთით სამბრეზე და ავესნას ჩრდილოეთით, მეუზის მაღლობებზე, სედანის დასავლეთით ჩვენი ხაზების წინ ბრძოლა გაძლიერდა. ამ ადგილებში ბრძოლა მტრის დამარცხებით დასრულდა. საღამო ჟამს მტერი ბაკის აღმოსავლეთით, ავესნას ჩრდილოეთით ლაკაპტის აღმოსავლეთით, ხირსონის სამხრეთ-დასავლეთით, სინი-ლაბეს სამხრეთით, პუანტერონთან და მეუზის მაღლობებზე სედანის სამხრეთ-დასაკლეთით იდგა. მეუზის აღმოსავლეთით დრო გამოშვებით ბრძოლაა ბრანდვილის ტყეებში.

ბერლინი. საღამოს სამხედრო ცნობა. ასპარეზებზე სიწყნარეა.

მოკავშირეთა შეტევა.

(სრ. რ. ც. ა. კ.-პრეს ბიუროს ბიულ.)

ბრძოლა დასავლეთის ასპარეზზე. მოკავშირენი ოფიციალურად იუწყებიან, რომ მათი შეტევა მთელ ფრონტზე მთელი დღე გრძელდებოდა. ფრანგებმა 16 კილომეტრით წინ წაიწიეს, ამერიკელებმა 40 კილომ. ამერიკელთა ჯარებმა ტყვეთ წამოიყვანეს 6000 კაცი და ხელთ იგდეს დიდი დავლა. წინსვლის დროს მოკავშირეთა ჯარს მტერი მკაცრ წინააღმდეგობას უწევდა.

გემის დაღუპვა.

ლონდონი. გემთა დაჯახებისას ბრიტანიის სადარაჯო გემი დაიღუპა. მსხვერპლი არ არის.

უცხოეთი

(ბეჰდვ. ბიუროს ც. ა. კ. ბიულეტენი)

მიმოსვლის შეწყვეტა კიევსა და ვენას შუა.

კიევი, 6 გიორგობისთვე. მატარებლის პირდაპირი მიმოსვლა კიევსა და ვენის შუა შესწყდა.

იოფეს რუსეთში გამგზავრება.

ელჩი იოფე რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლების მთელი შტაბით და რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ბერლინის განყოფილების მთელი შემადგენლობით დილა ადრიანად საგანგებო მატარებლით რუსეთს გაემგზავრა. საელჩოს საზღვრამდე მიაცილებს ატაშე გრაფი საორმა. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ბიურო ბერლინში პოლიციამ დახურა. მისი ქაღალდები დაბეჭდეს და პოლიციის შტაბში გაგზავნეს. შუადღის 2 საათზე შესდგა რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა შინაურ პოლიტიკურ საკითხების გამოსარკვევად. საფრაქციოთათაშორისო კომიტეტის სხდომა დილით შესდგება.

სოც.-დემ. ლიდერები.

სოც.-დემ. პარტიის ლიდერებმა ახალ მოწოდებით მიმართეს მუშებს მოწოდებაში ნათქვამია, რომ ზავის მოახლოვებასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფა და გაფართოვება დემოკრატიულ თავისუფლების და აგრეთვე უზრუნველყოფა სურსათით მცხოვრებლებისა და ჯარისა, რომელიც მალე სამშობლოში დაბრუნდება. მოწოდება აფრთხილებს მუშებს ძალთა დაყოფისაგან, მუშათა წრეში ურთიერთ შორის უთანხმოებისაგან და უპასუხისმგებლო ელემენტებისგან.

ბერლინის გაზეთების ცნობით სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელ წრეებმა ნაბიჯი გადადგეს პარტიის ორივე ფრთის გასაერთიანებლად.

ბოჰემია

პრაგა. ჩეხურ წყაროების ცნობით კრამარჟმა შვეციიდან ცნობა ჩამოიტანა, რომ იქ თანახმა არიან ბოჰემია მთლიანად ჩეხო-სლოვაკების სახელმწიფოში შევიდეს.

მომავალ კონგრესზე

ნიუ-იორკი. (რეიტერის ცნობა). დემოკრატიულ გაზეთებს „ტაიმსს“ და „იპილდს“ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ მომავალ კონგრესზე რესპუბლიკელები უმრავლესობას შეადგენდნენ. „ნიუ-იორკის ტაიმსი“ ამბობს, რომ სენატში რესპუბლიკელები 4-ით მეტნი იქნებიან, ხოლო წარმომადგენლობითი პალატაში 19-ით მეტი.

სამინისტროს გადადგომა.

შტუტგარტი. სახელმწიფო სამინისტრომ გადადგომა ითხოვა. მეფე მოითხოვს ახალ სახელმწიფო სამინისტროს შედგენამდე სამინისტრომ განაგრძოს თანამდებობის ასრულება.

ლანდტაგის დადგენილება.

ოლდენბურგი. პარლამენტარიზმის გასავითარებლად ოლდენბურგში ლანდტაგმა დაადგინა მოითხოვოს მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებლობა.

საარჩევნო უფლება.

ბრემენი. მოქალაქეთა გადაწყვეტილებით მამაკაცებს უნდა მიეცეს საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლნბა.

უცხოეთის ამბები

ინგლისელები თავრიზში.

თავრიზიდან 30 ღვინობისთვეს გამოსული სპარსელი „აშხატავორს“ ატყობინებს, რომ თავრიზიდან ოსმალეთის ჯარები სულ წავიდნენ. მათი ნაწილი უკვე ოსმალეთში შევიდა, ნაწილი კი ჯერ ისევ ჯულფაში სდგას და თავრიზში ინგლისელების შტაბი მოვიდა.

ქალაქში ოსმალებს სომხები არც გაუძარცვიათ, არც დაუხოციათ, მშვიდობიანობაა ჩამოვარდნილი. ტფილისთან შედარებით სურსათი და სხვა უფრო იაფია. პური 50 კ. ღირს, რუსული მანეთიანი 8 შაი.

ინგლისის მისია.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან ბაქოში ენზელიდან გემით მოსულა ინგლისის მისია და მოლაპარაკებაც გაუმართავს ადერბეიჯანის მთავრობასთან ამ მისიის ბაქოში ჩასვლის შესახებ. მოლაპარაკება კარგი შედეგებით გათავდა. ბაქოში არც ინგლისის და არც ბიჩერახოვის ჯარი არ არის.

ავსტრია-ჰუნგრეთის ამბების გამო

„არბეიტერ ცეიტუნგი“ პრაქტიკულ თვალსაზრისით არკვევს გერმანულ ავსტრიის თვითგამორკვევის საკითხს. „არსებობს,—ამბობს გაზეთი,—ორი შესაძლებელი კომბინაცია: პირველი—დაარსება გერმანულ ავსტრიის სამი შტატისა, სახელდობრ შუაგულ ავსტრიისა, რომელშიაც შევა ქვემო და ზემო ავსტრია და რომლებიც ეყრდნობიან გერმანულ ოლქებს—შტირიას, კარინციის, ტიროპოლის, ზალცბურჰს და ფორალბერჰს. მეორე—გერმანულ ჩეხურ შტატისა, რომელიც შეიცავს გერმანულ ოლქებს ჩრდილოეთ ბოჰემიაში, ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ მოჰემიის მთებიდან ბოჰემიის ტყემდის. ბოლოს, მესამე - სილეზია ჩრდილო მორავიის შტატისა, რომელიც შეიცავს დასავლეთ სილეზიას და მასთან მდებარე გერმანულ ოლქებს ჩრდილო მორავიისა და აღმოსავლეთ ბოჰემიისას. ამ გერმანულ სამი შტატისაგან უნდა შეიქმნას კავშირის სახელმწიფო ავსტრიის სხვა ერებთან ერთად და ჩეხების და სამხრეთ სლავიანების შტატებთან უნდა დააარსონ მაგ. ავსტრიის შეერთებული შტატები. თუ სხვა ერებმა არ მოისურვეს ასეთ სახელმწიფოთა კავშირის დაარსება, ან ისეთ ფორმით მოისურვეს, რომელშიც გერმანულ ავსტრიის ოლქები ეკონომიურ საკითხებში თავის ანაბარა დარჩება, მაშინ შესაძლებელი ჰხდება მეორე კომბინაცია და ავსტრო-გერმანული სამი შტატი შეუერთდებიან გერმანიის იმპერიას როგორც ცალკე მოკავშირე სახელმწიფოები ე. ი. 1866 წელს დარღვეული სახელმწიფო კავშირი გერმანიის სახელმწიფოსთან ახალი ფორმით აღსდგება. გერმანიის საზღვრებში ეს სამი ავსტრიის გერმანული შტატები მიიღებენ თანაბარ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, როგორც ბავარია, საქსონია და ბადენი. ავსტრიის გერმანელთა უმრავლესობა ჯერ-ჯერობით პირველ კომბინაციას ემხრობა, თუ ჩეხებმა სრული დამოუკიდებლობა მოისურვეს იმათ ანგარიში უნდა გაუწიონ, რომ მათი სახელმწიფო გარს შემოვლებული იქნება ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთის მხრით გერმანიის იმპერიით. მაგრამ შეთანხმების სახელმწიფოებმა უნდა იცოდნენ, რომ ავსტრიის დაშლით ისინი ვერ მოსპობენ 10 მილიონიან გერმანიის ხალხს, რომელნიც ილტვიან და უერთდებიან აღორძინებულ დემოკრატიულ გერმანიის იმპერიას.

ქართულ ჯარისთვის

(დასასრული)

ხშირად ისმის საყვედური მთავრობისა და სამხედრო უფროსებზე რომ მათ შტატების შემცირების გამო მრავალი ოფიცერი დაითხოვეს სამსახურიდან და ამ გვარად ჯამაგირები მოუსპეს. ომიანობის დროს ჯარში ყველას იწვევენ, ნაწილს ოფიცრებად უმეტესობას კი ჯარისკაცებად. მშვიდობიან დროს ამოდენა ოფიცრობას რასაკვირველია სახელმწიფო ვერ შეინახავს. გარდა ამისა, განა შეიძლება ჯარის გავსება უვარგის ხელმძღვანელებით და მასწავლებლებით, შემცდარია ვინც ჰფიქრობს, რომ ოფიცრებათ შეიძლება ნაკლებ სწავლულნიც იყვნენ, პირიქით, ოფიცრები უნდა სერიოზულად განათლებულნი ხელმძღვანელობდნენ მასსას, პასუხს აგებენ მის სიცოცხლეზე და განა შეიძლება ასეთი საქმე უსწავლელს მიენდოს? მე მგონია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი გამოსავალი უშველის ოფიცერთა შემადგენლობის გაუმჯობესებას: დათხოვნილი იქმნენ ყველა ოფიცრები და მათი შერჩევა ხელახლად მოხდეს წინასწარ გარკვეულ სისტემით. ახალი შერჩევა უნდა მოახდინოს მხოლოდ ერთმა კომისიამ, რომელიც შესდგება სამხედრო პირებისა და პარლამენტის წევრებისაგან. ამ საქმის შესრულების ტეხნიკური მხრის მოწყობა ძნელი არ არის. რასაკვირველია ჯერ უნდა მოხდეს შერჩევა საჭირო პირებისა, მერე ერთის ბრძანებით დათხოვნილ იქნეს ყველა და მეორე ბრძანებით დაინიშნონ სასურველი პირნი. სამწუხაროდ ბევრი აღმოჩნდება უკმაყოფილო, მაგრამ საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მიდგომილობა და პროტექციას ადგილი არა ჰქონდეს.

როგორ უნდა მოეწყოს ოფიცერთა სამსახური ამას კვლავ განვიხილავ, ეხლა კი საჭიროდ მიმაჩნია შევეხო ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის საქმეს. არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, რომ ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის საქმე სასურველად არ მიდის. ერთის მხრივ ეს მაჩვენებელია ჩვენი კულტურისა, მეორე მხრივ დიდი დანაშაული მიუძღვით ხელმძღვანელთაც, რომელთაც ასე ცუდათ მოაწყეს ჯარის ცხოვრების პირველივე დღეები. განა დიდი ნიჭი და გამოცდილება იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ ჯერ საჭირო იყო მომზადება მოწყობილებისა ტანისამოსის, ფეხსაცმელის, სურსათის, ბინების და სხვა და მერე ახალგაზდათა ჯარში გაწვევა, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ეს იყოს მიზეზი დაბრკოლებისა, მიზეზი უფრო ღრმაა: უკულტურობის გამო ხალხში ნაკლებია სამშობლოსადმი მოვალეობის შეგნება. მაზრებში და პროვინციებში ინტელიგენცია ძალიან ცოტაა, თითქმის ყველამ თბილისსა და ქუთაისს მიატანა და ხალხი თავის ანაბარა დარჩა წვრილი აგიტატორების ხელში და იკვებება ათასნაირი უსაფუძვლო ჭორებით. ჩემის აზრით მარტო რეპრესიული ზომები არას უშველის, საჭიროა კულტურული მუშაობა, შესაფერი პროპაგანდა. ძალიან საჭიროდ მიმაჩნია, სანდო პირებისგან ჯგუფის შექმნა რომელიც ყველა კუთხეს შემოივლის და ხალხს ერთ გარკვეულ აზრს ჩააგონებს. თორემ ხალხი მიეჩვია იმ აზრს, რომ შეიძლება სამშობლოს წინაშე ვალი არ მოიხადოს და დაუსჯელი დარჩეს.

აჯი.

კორესპონდენცია

ბოლნისი (ბორჩალოს მაზ.)

ბოლნისი ძევს მდ. ფოლოლაურზე, რომელიც ერთვის ქციის (ხრამი) შესართავს—მაშავერს. თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 ვერსის მანძილზე. ბოლნისი აღაშენა მეფე მირვონოსმა (ნებროთიონი) რომელიც ჰმეფობდა მცხეთას 2 საუკ. ქრისტემდე. „ნებურად უშიშრად“ ფარსმან მე-II-ემ მე 5-ე საუკუნის დასაწყისში როცა განუდგა კეისარს და განამრავლა ჯვარ-ეკლესიით, მაშინ აღაგო ბოლნისის ესაბარი, რომელშიც ვახტანგ გორგასლანმა **სომხეთის** ეპისკოპოსი განაწესა. ბოლნისი ოდითვე გეოგრაფიულ მდებარეობის გამო აურაცხელ უბედურებას განიცდიდა.

419 წ. არჩილ მეფის მეუღლემ, დედოფალმა მარიამმა (ბერძნის ასულმა) განაახლა და უმეტეს განავრცო იგი ეკლესიითურთ.

მდიდარი და ვრცელი ქალაქი არა ერთგზის აოცხრებულა მტრებისგან. განსაკუთრებით ლეკები არ აძლევდნენ მას მოსვენებას. ღამე ხეობაში ზვიად ქალაქის ნანგრევებში ეკლესია და მშვენიეროობს. ქალაქი ვახუშტის დროსვე (18 საუკ.)„ იყო ცარიელი“ ეკლესია კი „ხუცის ამარ“.

დღეს, აქაურობა უცხო ტომის ხელშია.

მირვანოსი.

სამეგრელო.

წელს სამეგრელოში მოსავალი საშუალოზე მეტი მოვიდა, ეს მისთვის რომ საკმაოდ დაუმუშავებელი ადგილი ცოტა იყო. მუშა ხელის ნაკლებობით მაგრამ რაც მოვიდა ისიც ღვთის მადლი იყო. ეხლა ზამთარი დგება, გლეხ-კაცი სურსათით კმაყოფილია, მაგრამ არ აქვს სათბური ტანისამოსი. იგი გაცვეთილ ტანისამოსში დაიარება. და სიცივისაგან ათას ავადმყოფობის მსხვერპლი ხდება. მისი ერთად ერთი სათნო თხოვნაა: „მოიტათ ფართლეული!“ საჭიროა ყურადღებას მიაქცევდნენ ჩვენი სოფლის თუ ქალაქის კოოპერატივები, რომელთა რიცხვიც კერძოდ სამეგრელოში დიდია.

განწირული გლეხი.

თეატრი და მუსიკა

სახალხო კონსერვატორიის კონცერტი

კვირას, გიორგობისთვის 17-ს, სახალხო კონსერვატორია ჰმართავს მე-2 ისტორიულ კონცერტს საკუთარ თეატრალურ დარბაზში. პროგრამაში შედიან თხზულებანი: გლინკასი, დრაგომიჟსკისა, რუბენშტეინისა, ბოროდინის, მუსოგორკის, რიმსკი-კორსაკოვის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის და ჩერეპნინისა. მომღერლებად გამოვლენ: ქ-ნი კეპინოვისა, პოლიაევა-დიუბინისა, სკარსკისა, ბაშკინა, მესკრიპკე ი. ფიშბერგი, ბ. გორბანევი და სახალხო კონსერვატორიის გუნდი. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამენ პროფ. ი. აისბერგი და ლ. სამინსკი.

მუსიკის კურსები

ახლო მომავალში თბილისის უნივერსიტეტთან არსებული სახალხო კონსერვატორია აარსებს მუსიკის პირველ დაწყებით კურსებს. კურსებზე შეისწავლება: მუსიკის თეორია, საგუნდო გალობის მეთოდიკა, როიალზე დაკვრა და სხვ.

ბიბლიოგრაფია

ალ. ჩაჩიკაშვილის ლექსები

თბილისში გამოვიდა ალ. ჩაჩიკაშვილის ლექსთა კრებული რუსულ ენაზედ ცნობილ რუს ფუტურისტ ა. კრუჩონიხის წინათქმით. წიგნში მოთავსებულ ათ ლექსში არის შეცდომა ლექსის, მისი მუსიკის და აღნაგობის. პოეტს აქვს საკუთარი ლექსიკონი და თარეშული ქამანდები.

წიგნი არ არი შეციებული და სიგიჟის წვანი განელებულია ტრადიციულ ფრაზებით. რასაკვირველია, არ არი გაფრენილ ხელის ჯირითით ატაცება და შიგაც ბევრი ტკბილეულია თუმცა თავისთავადურ სურნელებით. წიგნის ფურცლებზე კი ნაკლები თოვლი და ხავერდია. მეორე წიგნი ალბად უფრო გამოკაფული იქნება.

საგულისხმო უნდა იყოს იგი „სკანდალის ორდენის“ იმ ქართველ პოეტებისთვის, რომელთაც თავიანთ სქოლასტიურ წიგნებში ასარკეს თვისი ჭუჭყიანი ხელი და საუფლო პრეტენზიებით გამოდიან იმ გათამამებით, რომ მათ წიგნებში ბევრი მურაბები და ბამბანერკებია.

გ. ლეონიძე.

რედაქტორი გიორგი ქიქოძე.

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—

თბილისში მოვა

			საათი	წ.
ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ . სიფილ[illegible]. 607—914 [illegible]ლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საზებით საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი [illegible]
მ. ნ. [illegible]—[illegible] და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 9, ევზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.
სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა
ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების
ორ-კვირეული ჟურნალი
„ახალი ქალა“
ფასი ორი მანეთი
ჰრედაქტორობს კოლეგია

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ალ. ასათიანის ნაწერი
მიწის საკითხი
საქართველოში
წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში.
(10—10)

ექიმი
ნიკ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებ.
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს.
15—1739—11

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
უთმეგბარ ავათმყოფთათვის
ექიმ ი გ. მძინარიშვილის და დ. გ ნაზარეთიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა
[illegible]
ყალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 1.